

საქართველოს ბუნებრივი გაზის სექტორის იმპორტზე დამოკიდებულება: ტენდენციები და პერსპექტივები

ლანა სულაკაძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
ევროპის უნივერსიტეტი
Lana.sulakadze@eu.edu.ge
<https://doi.org/10.61950/giu.4.2026.12138>

აბსტრაქტი

საქართველოს ენერგეტიკული სექტორი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, ხოლო ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევა საჭიროებს ეფექტიანი და თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმას. ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსის მიხედვით, ბუნებრივი გაზის წილი მთლიან ენერგომომხმარებაში 40%-ს აღემატება. ამასთან, ბუნებრივ გაზზე მოთხოვნის დაკმაყოფილება თითქმის სრულად იმპორტზეა დამოკიდებული, რადგან ადგილობრივი მოპოვება მხოლოდ დაახლოებით 1%-ს შეადგენს. აღნიშნული დამოკიდებულება ზრდის ბუნებრივი გაზის ღირებულებას და შესაბამისად, უარყოფითად აისახება მომხმარებელთა ხარჯებზე.

საყოფაცხოვრებო სექტორში ბუნებრივ გაზზე მოთხოვნა წლიდან წლამდე მატულობს, რაც იმპორტის მოცულობის ზრდას განაპირობებს. მომხმარებელთა სტრუქტურა მოიცავს ოთხ ძირითად ჯგუფს: თბოსადგურებს, ავტოგაზგასამართ სადგურებს, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო სექტორებს. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში თბოსადგურების მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის წილი 20%-ს აღემატება, რაც მიუთითებს იმპორტირებული რესურსის მნიშვნელოვან როლზე ელექტროენერგიის წარმოებაში. აღნიშნული საბოლოოდ უარყოფითად აისახება კომუნალური მომსახურების ტარიფებზე.

ბუნებრივი გაზის სექტორი წარმოადგენს ბუნებრივ მონოპოლიას, რაც საჭიროებს შესაბამის საკანონმდებლო რეგულირებას. ამ ფუნქციას საქართველოში ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელიც გასცემს საქმიანობის ლიცენზიებს და ადგენს ტარიფებს ლიცენზირებული კომპანიების დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის საფუძველზე.

კვლევის მიზანია საქართველოს ბუნებრივი გაზის სექტორის არსებული მდგომარეობის შეფასება, ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის შესაძლო გზების შემუშავება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ნაშრომში დასკვნის სახით წარმოდგენილია სექტორის განვითარების ძირითადი პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკა, ბუნებრივი გაზი, რეგულირება, იმპორტი

შესავალი

საქართველოსათვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვანეს ფაქტორს ენერგოდამოუკიდებლობა წარმოადგენს. ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია მის ეკონომიკურ მდგრადობასთან, რის გამოც ენერგეტიკის სექტორი მუდმივად სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და სტრატეგიული პოლიტიკის ცენტრში მოიაზრება.

ენერგოდამოუკიდებლობის უზრუნველყოფა შეუძლებელია ქვეყნის შიდა რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების გარეშე. აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერგეტიკულ სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბუნებრივი გაზის წილი ენერგიის მთლიან მოხმარებაში წლიდან წლამდე იზრდება და ბოლო მონაცემების მიხედვით - 40%-ს აღემატება. აღნიშნული ტენდენცია ბუნებრივი გაზის სექტორის სტრატეგიულ მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის. შესაბამისად, სექტორის კომპლექსური ანალიზი შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს ის ძირითადი გამოწვევები და რისკები, რომელთა წინაშეც ქვეყანა დგას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ბუნებრივი გაზის მოხმარების მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტირებულ რესურსებზეა დამოკიდებული.

ბუნებრივი გაზის სექტორი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია წარმოადგენს იმ ძირითად მარეგულირებელ უწყებას, რომელიც საქართველოს ბუნებრივი გაზის სექტორში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, ახორციელებს ბაზრის მონიტორინგსა და რეგულირებას. სემეკს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, გასცეს ლიცენზიები ბუნებრივი გაზის სექტორში მოქმედ ორგანიზაციებზე და უზრუნველყოს სექტორის საქმიანობის ზედამხედველობა.

2025 წლის მონაცემების მიხედვით 16 განაწილების ლიცენზიატი კომპანია ოპერირებს ბუნებრივი გაზის საცალო ბაზარზე, რომლებიც საქართველოში ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების საქმიანობას ახორციელებენ. აღნიშნულ კომპანიებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სამი მსხვილი ლიცენზიატი: შპს „თბილისი-ენერჯი“, რომელიც საქმიანობს ქალაქ თბილისის მასშტაბით, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ და სს „საქორგაზი“ რომელთა მომსახურების არეალი პრაქტიკულად მთელ საქართველოს მოიცავს, ქალაქ თბილისის გარდა.

საქართველოს ბუნებრივი გაზის სექტორის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნის მაღალი იმპორტდამოკიდებულება. საქართველოს პრაქტიკულად არ გააჩნია ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვანი ადგილობრივი რესურსი, ხოლო ადგილობრივი მოპოვების წილი მთლიან მოხმარებაში 1%-ზე ნაკლებია. შესაბამისად, ბუნებრივი გაზის მიწოდება ძირითადად იმპორტის საშუალებით ხორციელდება.

საქართველოში ბუნებრივი გაზის იმპორტი ძირითადად მეზობელი ქვეყნებიდან - აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან - ხორციელდება. 2024–2025 წლების ბუნებრივი გაზის ბალანსის მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში საშუალოდ წლიურად 5.4 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი იქნა მიღებული, საიდანაც დაახლოებით 40–42% ტრანზიტის მიზნებისთვის იყო განკუთვნილი.

მიღებული ბუნებრივი გაზის სტრუქტურის მიხედვით, აზერბაიჯანიდან იმპორტირებული გაზის წილი მთლიან ბალანსში 38%-ს შეადგენს, სამხრეთ კავკასიური გაზსადენიდან მიღებული გაზის წილი - 4.4%-ს, ხოლო რუსეთიდან მიღებული ბუნებრივი გაზის წილი - 16%-ს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 2020 წლის შემდეგ სომხეთიდან ბუნებრივი გაზის მიღება აღარ ფიქსირდება.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ბუნებრივი გაზის მოპოვება სტაბილურობით ხასიათდება, მისი მოცულობა მთლიან გაზის ბალანსში უმნიშვნელოა და ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში არსებით გავლენას ვერ ახდენს. შესაბამისად, ბუნებრივი გაზის სექტორის მდგრადი განვითარებისა და ენერგოდამოუკიდებლობის გაძლიერებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმპორტის წყაროების დივერსიფიკაციას, შიდა ენერგორესურსების განვითარებასა და ენერგეტიკული პოლიტიკის გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმვას.

ცხრილი N1. საქართველოში გაზის მიღება 2020-2024 წლებში, მიღების პუნქტების მიხედვით (მლნ. კუბ.მ) ¹

ბუნებრივი გაზის მიღების პუნქტი			2020	2021	2022	2023	2024
აზერბაიჯანი	იმპორტი		1,183	1,132	1,411	1,081	775
	დამატებითი ოფციური	და	-	-	-	963	1,465
აზერბაიჯანი - სამხრეთ კავკასიური გაზსადენი	იმპორტი		259	25	-	-	-
	დამატებითი ოფციური	და	900	1,026	1,146	413	70
რუსეთი			204	397	520	596	788
სომხეთი			19	-	-	-	-
ადგილობრივი მოპოვება			8	15	14	16	15
სულ			2,573	2,595	3,091	3,069	3,114

¹ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2024 წლის ანგარიში,
<https://gnerc.org/files/Annual%20Reports/Annual%20report%202024%20GEO%20fin.pdf#page=110&zoom=100,92,70>
2 (15.05.2026)

საქართველოს ბუნებრივი გაზის ბაზარზე კონკურენციის დონე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბუნებრივი გაზის საბოლოო ფასის ფორმირებაზე. ფასის განსაზღვრის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალური და კომერციული სეგმენტების გამიჯვნას, ვინაიდან აღნიშნული სეგმენტები განსხვავებული სატარიფო პოლიტიკით ხასიათდება.

საქართველოში ბუნებრივ გაზზე არსებული შედარებით მაღალი ფასი ძირითადად განპირობებულია იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აგრეთვე ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით. კერძოდ, აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსის მერყეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფზე, რადგან ბუნებრივი გაზის შესყიდვა უმეტესწილად უცხოურ ვალუტაში ხორციელდება.

საქართველო შეღავათიანი პირობებით სარგებლობს სამხრეთ კავკასიური მილსადენიდან მიღებული ბუნებრივი გაზით, რომელსაც პრაქტიკაში ე.წ. „სოციალურ გაზს“ უწოდებენ. აღნიშნული რესურსი ძირითადად გამოიყენება მოსახლეობისა და თბოსადგურების ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფისათვის. შესაბამისად, სოციალური სეგმენტისათვის ბუნებრივი გაზის ტარიფი მნიშვნელოვნად დაბალია კომერციულ სეგმენტთან შედარებით.


საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიას მიერ დადგენილი სამომხმარებლო ტარიფის მიხედვით, სოციალური გაზის ფასი, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სხვადასხვა ტიპის სუბსიდირების გათვალისწინებით, საშუალოდ 0.28 ლარს/კუბურ მეტრს შეადგენს.

ბუნებრივი გაზის საცალო ბაზარზე მოხმარება ოთხ ძირითად სექტორზე ნაწილდება: თბოსადგურები, ავტოგაზგასამართი სადგურები, საყოფაცხოვრებო მომხმარებლები და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები. მოხმარების სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ ბუნებრივი გაზის საერთო მოხმარების საშუალოდ 25% თბოსადგურებზე მოდის.

თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ძირითადად ქვეყნის შიდა ბაზარზე მოიხმარება. ზოგადად, საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბალანსში თბოსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის წილი საშუალოდ 20–25%-ს შეადგენს. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ ელექტროენერგიის წარმოების პროცესშიც ქვეყანა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმპორტირებულ ბუნებრივ გაზზე. სწორედ ამიტომ, თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია შედარებით ძვირ ელექტროენერგიად მიიჩნევა, ვინაიდან მისი თვითღირებულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტირებული ენერგორესურსის ფასზე.

დიაგრამა N1 ნათლად ასახავს 2015–2024 წლებში ბუნებრივი გაზის მოხმარების დინამიკასა და ტენდენციებს სხვადასხვა სექტორის მიხედვით, რაც შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს ქვეყნის ენერგომომხმარების სტრუქტურა და ბუნებრივი გაზის როლი ეროვნულ ენერგეტიკულ სისტემაში.

დიაგრამა 1. ბუნებრივი გაზის მომხმარება სხვადასხვა სექტორის მიხედვით²



აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი გაზის მომხმარებლები იყოფა 2 კატეგორიად საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო. საყოფაცხოვრებო სექტორისთვის ტარიფების დადგენა ხდება კომისიის მიერ დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის საფუძველზე ცალკეული საწარმოს საოპერაციო თუ კაპიტალური დანახარჯების შესწავლის შედეგად, ხოლო არასაყოფაცხოვრებო სექტორისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდება არის დერეგულირებული, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარეთა შეთანხმებით ხდება აღნიშნული მომსახურების ღირებულების განსაზღვრა. სხვაობა საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის ტარიფის კუთხით მნიშვნელოვანად განსხვავებულია, კომერციული სექტორისთვის გაცილებით მაღალია ტარიფი. აღნიშნული განსხვავება ძირითადად უკავშირდება ე.წ. „სოციალური გაზის“ პოლიტიკას, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობა შეღავათიანი პირობებით სარგებლობს.

სემეკის მიერ დადგენილი საყოფაცხოვრებო სამომხმარებლო ტარიფი სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: ტრანსპორტირების, განაწილებისა და მიწოდების ტარიფებისგან. თითოეული კომპონენტი ასახავს ბუნებრივი გაზის საბოლოო მომხმარებელამდე მიწოდების პროცესში არსებულ შესაბამის დანახარჯებს.

ბოლო წლების მონაცემები მიუთითებს, რომ როგორც საყოფაცხოვრებო, ისე არასაყოფაცხოვრებო აბონენტების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. აღნიშნული ტენდენცია მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული გაზიფიცირების პროგრამებით, აგრეთვე ახალი საცხოვრებელი კორპუსებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებით.

² საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, www.gnerc.org (15.05.2026)

ბუნებრივი გაზის სექტორში მოქმედ ლიცენზირებულ კომპანიებს ჯამურად 1.5 მილიარდზე მეტი აბონენტი ჰყავთ. მათ შორის შპს „თბილისი ენერჯის“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ და სს „საქორგაზის“ აბონენტების რაოდენობა მთლიან ბაზაში 85%-ს აღემატება.

საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ ბუნებრივი გაზის მოხმარების მოცულობა განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვით. რეგიონებსა და სოფლებში მოსახლეობა გათბობის ძირითად საშუალებად კვლავ ბუნებრივ რესურსებს, განსაკუთრებით შეშას, იყენებს, მაშინ როდესაც ქალაქებში ბუნებრივი გაზის მოხმარების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია.

ამასთანავე, ბუნებრივი გაზის მოხმარება მკვეთრად სეზონური ხასიათისაა, რაც განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში მოხმარების ზრდაში გამოიხატება. შესაბამისად, გაზგამანაწილებელი კომპანიების შემოსავლები ასევე სეზონურობით ხასიათდება, რაც გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიების ფინანსურ მდგარობასა და საოპერაციო სტაბილურობაზე.

ბუნებრივი გაზის სექტორის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინვესტიციებს. 2025 წლის მონაცემებით, სექტორში მოქმედი ექვსი უმსხვილესი კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ 200 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც დაგეგმილ მაჩვენებელს დაახლოებით 40%-ით აღემატება.

ინვესტიციების სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ მთლიანი კაპიტალდაბანდებების დაახლოებით 94% ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობაზე მოდის, ხოლო მხოლოდ 6% — ტრანსპორტირების მიმართულებაზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე დაფინანსების წყაროების შეფასება. ბუნებრივი გაზის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები ძირითადად სამი წყაროდან ფინანსდება: საკუთარი სახსრებით, სასესხო რესურსებითა და მესამე მხარის დაფინანსებით.

ბოლო წლების განმავლობაში მსხვილი გაზგამანაწილებელი კომპანიები შედარებით ნაკლებად იყენებენ სასესხო დაფინანსებას. ინვესტიციების დაახლოებით 80% ფინანსდება კომპანიების საკუთარი სახსრებით, ხოლო დაახლოებით 20% - მესამე მხარის დაფინანსებით. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალური დანახარჯი მესამე მხარის დაფინანსებით ხორციელდება, აღნიშნული ხარჯები, როგორც წესი, არ აისახება სატარიფო გაანგარიშების პროცესში, რაც გარკვეულწილად ამცირებს მომხმარებელზე ტარიფური დატვირთვის ზრდის რისკს.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველო ბუნებრივი გაზის სექტორის მიმართულებით მნიშვნელოვან გამოწვევათა წინაშე დგას, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის მაღალი იმპორტდამოკიდებულებით არის განპირობებული. საქართველოში ბუნებრივი გაზის ადგილობრივი მოპოვება უმნიშვნელო მოცულობით ხორციელდება და არსებული რესურსები ვერ უზრუნველყოფს შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. შესაბამისად, ქვეყანა კვლავ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტირებულ ბუნებრივ გაზზე, რაც ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვან რისკებს წარმოშობს.

აღნიშნული გამოწვევის შემცირების ერთ-ერთ ძირითად გზას ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარება წარმოადგენს. საქართველოს მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი და განახლებადი ენერგიის რესურსები ქმნის შესაძლებლობას, გაიზარდოს ადგილობრივი ელექტროენერგიის წარმოება და ეტაპობრივად შემცირდეს ბუნებრივ გაზზე დამოკიდებულება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰიდროელექტროსადგურების განვითარება, ასევე ქარისა და მზის ენერგიის ეფექტიანი გამოყენება. შედეგად შესაძლებელი გახდება ბუნებრივი გაზის მოხმარების ნაწილობრივი ჩანაცვლება ადგილობრივი ელექტროენერგიის წარმოებით. ამასთანავე, აუცილებელია თბოსადგურების წილის შემცირება ქვეყნის საერთო ელექტროენერგეტიკულ ბალანსში, ვინაიდან მათი ფუნქციონირება პირდაპირ არის დამოკიდებული იმპორტირებულ ბუნებრივ გაზზე და დაკავშირებულია შედარებით მაღალი თვითღირებულების ელექტროენერგიის წარმოებასთან.

ბუნებრივი გაზის მოხმარების ანალიზი აჩვენებს, რომ ბოლო წლებში მოხმარების ზრდა ძირითადად საყოფაცხოვრებო სექტორში ფიქსირდება. აღნიშნული ტენდენცია მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ახალი დასახლებული პუნქტების გაზიფიცირების პროცესთან და მომხმარებელთა რაოდენობის ზრდასთან. ამასთან, ბუნებრივი გაზის სექტორი მკვეთრად სეზონური ხასიათით გამოირჩევა. ზაფხულის პერიოდში ბუნებრივი გაზის მოხმარება მნიშვნელოვნად მცირდება, რაც, ერთი მხრივ, თბოსადგურების შემცირებული დატვირთვით, ხოლო მეორე მხრივ - საყოფაცხოვრებო სექტორში მოთხოვნის კლებასთან არის დაკავშირებული.

სექტორის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩება ქვეყნის მასშტაბით გაზიფიცირების პროცესის განხორციელება. სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ეტაპობრივად მიმდინარეობს სოფლების გაზიფიცირება, თუმცა აღნიშნული პროცესი მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული როგორც სახელმწიფოსთვის, ისე კერძო კომპანიებისთვის. მიუხედავად განხორციელებული ინვესტიციებისა, სოფლის ტიპის დასახლებებში ბუნებრივი გაზის მოხმარების ინტენსივობა შედარებით დაბალია. შესაბამისად, მსგავსი პროექტების ფინანსური უკუგება კომპანიებისთვის შედარებით დაბალია.

ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი გაზის საცავის არსებობას. საცავის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ბუნებრივი გაზის მიწოდების საიმედოობის ზრდას, შესაძლო ავარიული ან ტექნიკური შეფერხებების პირობებში მომხმარებელთა უწყვეტ მომარაგებას და ენერგომომარაგების სისტემის სტაბილურობას. ამასთანავე, ბუნებრივი გაზის საცავი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ენერგორესურსების დივერსიფიკაციისა და სტრატეგიული მარაგების ფორმირების პროცესში.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის გაძლიერებისათვის აუცილებელია ენერგეტიკულ სექტორში დამატებითი ინვესტიციების განხორციელება, შიდა ენერგორესურსების ეფექტიანი გამოყენება და განახლებადი ენერგიის განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიმართულებების თანმიმდევრული განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბუნებრივ გაზზე მოთხოვნისა და იმპორტდამოკიდებულების

შემცირებას, რაც ქვეყნის გრძელვადიანი ენერგეტიკული და ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, თბ., 20.12.2019;
2. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N33 დადგენილება „ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2014;
3. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, www.gnerc.org.